28/08/2019

ღირსი იოსებ ისიქასტის გარდაცვალება

ღირსი მამა იოსებ ისიქასტი, სამოცი წლის წინ, 1959 წლის 15 (28 ახ.სტილით) აგვისტოს, მარიამობას გარდაიცვალა.



მამა იოსებს უკურნებელი სენი სჭირდა (სიცოცხლის ბოლოს) და სულიერი შვილები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მისთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინათ. იგი წინააღმდეგი იყო, ღვთისმშობლის წილხვედრი ათონის მთა დაეტოვებინა, თუნდაც მცირე ხნით, სამკურნალოდ.

ქოშინი ტანჯავდა. ერთხელ მის სულიერ შვილს მამა იოსებს (ვათოპედელს) ესმა, რომ თავის მყუდრო კელიაში მამა იოსები ვიღაცას ესაუბრება. მამა იოსები ამბის გასარკვევად შიგნით შევიდა. მან ხომ იცოდა, რომ ამ დროს მოძღვართან არავინ არ უნდა ყოფილიყო. რას ხედავს: მამა იოსებს ჩაუკრავს გულში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, ეამბორება მას და ესაუბრება: "დედოფალო, დედოფალო ჩემო, ნუ დამიტევებ. მე ვეამბორები შენს ხატს, შენ ხომ თვითონ იყავი ალერსიანი ჩემდამი!" "ჩვენს დედოფალს ესაუბრები, მამაო? – ჰკითხა მამა იოსებმა (მცირემ) და შეევედრა, – მომიყევი, გევედრები, რას ნიშნავს შენი სიტყვები?"

მამა იოსებ მღვიმელმა შემდეგი რამ მოჰყვა:

“ოდესღაც, ჩემი განსაცდელებისას ღვთისმშობელმა დიდად მანუგეშა ამ ხატით. ამას ახლა ვიხსენებ და ვლოცულობ ღვთისმშობლისადმი. წმინდა ანას მცირე სკიტში, როცა თქვენ (სულიერი შვილები) არ იყავით ჩვენთან (მამა იოსებთან და მის თანამოსაგრე, სულიერ ძმა არსენასთან ერთად), რაღაც მომენტში გამიძლიერდა განსაცდელები და მწუხარება და ღვთისმშობელი იყო ჩემი ერთადერთი ნუგეშისმცემელი. წავედი ჩვენს პატარა საყდარში, კანკელთან მივედი, სადაც მისი ხატი ბრძანდებოდა. ვლოცულობდი და შეწევნას ვევედრებოდი. მე ხომ თვით ღვთისმშობელი დამპირდა, რომ მისი იმედი მქონოდა. როცა განსაცდელებისას აშკარად ქრება მადლის სიახლოვის შეგრძნება, შფოთი იზრდება. ადამიანი განსაკუთრებით შიშით ლოცულობს. “ისწრაფვე შეწევნად ჩვენდა, რამეთუ მოწყალე ხარ და ძალგიძს შეწევნა, უკუეთუ ინებებ, – ვღაღადებდი, – ვის ვთხოვო შეწევნა, თუ არა შენ, სულთა და ხორცთა მკურნალო?” გულგაფაქიზებული, აცრემლებული ვიდექი სწორედ ამ ხატთან. უეცრად, ადრინდელივით, ღვთისმშობლის სიახლოვე ვიგრძენი. იმ საყდარში სივიწროვე იყო. კანკელიდან სტასიდიამდე, სადაც ვიდექი, ერთი მეტრიც კი არ იქნებოდა. უეცრად დავინახე, რომ ღვთისმშობლის ხატი გაბრწყინდა და ამასთან ერთად ადამიანის სხეულის ბუნებრივი ზომები მიიღო. იგი უკვე ხატი კი არა, თვით ღვთისმშობელი დედოფალი იყო, ცოცხალი, მზესავით მბრწყინავი, როგორც ყოველთვის, თავის სახეში შეაერთებდა დედობისა და ქალწულობის ნაკვთებს. მე კი, მდაბალი, მას ვუცქერდი, რამდენადაც ნებას მაძლევდა ჩემი მომაკვდავი ბუნება და კეთილმოკრძალებულად თავი დავხარე, მეტი ცქერა აღარ შემეძლო, რამეთუ მისი ყოვლადწმინდა ყრმა, ჩვენი უტკბესი იესო, მის მკლავებში მზეზე უმეტესად ბრწყინავდა. მისადმი უმნიშვნელო სიყვარულით ავსებულმა სრულიად დავივიწყე საკუთარი თავი და მხოლოდ ვკვირობდი. მაშინ გავიგონე ღვთისმშობლის კეთილსურნელოვანი და თაფლზე უტკბესი ხმა: “განა არ გითხარი, რომ ჩემი იმედი გქონდეს? სასოს რატომ წარიკვეთ? აიყვანე ხელში და მიირქვი ქრისტე!” და მან გამოიწოდა თავისი ნეტარნი ხელნი ისე, რომ უწმინდესი ყრმა იმდენად მომიახლოვდა, შემეძლო ხელში ამეყვანა! გაოცებული ვერც გავინძერი. მაშინ ყოვლადნეტარმა იესომ გამოიწოდა პაწია ხელნი და სამჯერ მომითათუნა სახესა და თავზე! სული ჩემი უზომო სიყვარულითა და სინათლით აივსო, ისე, რომ ფეხზე დგომის თავიც არ მქონდა. დავეცი ძირს, ვქვითინებდი, იმ ადგილის ამბორს ვცდილობდი, სადაც ყოველთა დედოფალი იდგა, რამეთუ ის ისევ თავის ხატზე განმარტოვდა, მე კი ნუგეში და კეთილსურნელება დამიტოვა. ადგილი, სადაც ის იდგა, დიდხანს კეთილსურნელებდა და მუდმივად მახსენებდა ნეტარ აღთქმას! აი, რას ვიგონებ ახლა, ვარწმუნებ ღვთისმშობელს, რომ არ დამვიწყებია მისი აღთქმა, რაც დღეს სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ წამიყვანოს ამ ცხოვრებიდან თავისი საყვარელი ძის სასუფეველში”.
მაშინ, როცა მამა იოსები ღვთისმშობელთან შესახვედრად ისწრაფოდა, მისი სულიერი შვილები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ დიდი სულიერი მამა არ დაეკარგათ. მიმართეს ექიმებს, სულიერ და ხორციელ მკურნალებს, ადამიანურ საშუალებებს, ყოველღიურ

წირვა-ლოცვას, მაგრამ ღვთისმშობელი უფრო მოძღვრის ლოცვისკენ მიიდრიკა, ვიდრე მისი სულიერი შვილებისა. მამა იოსებმა ერთხელაც სულიერი შვილები მოიხმო და ზეციური ნება გააცნო, თავისი გარდაცვალების კონკრეტული თარიღიც კი მიუთითა.

ეკლესია უფლის აღდგომის დღესასწაულს მთავარ საუფლო დღესასწაულად თვლის, ხოლო ღვთისმშობლის დღესასწაულებში ყველაზე უპირატესი მისი მიძინების დღესასწაულია. როგორც ნამდვილმა დედამ, ყოვლადწმინდა მარიამმა სწორედ ამ დღეს მიირქვა თავის ქალწულებრივ წიაღში თავისი მადლისმიერი შვილი.

ღვთისმშობლის დღესასწაულის წინა საღამოს, 1959 წელს, მეტრაპეზე სადღესასწაულო სუფრის გასაწყობად ემზადებოდა. მამა იოსებმა მას დაასწრო და უთხრა: “დღეს მე თვითონ გავშლი სუფრას. ეს უკანასკნელად მოხდება, როცა ჩემს ხელთაგან მიიღებთ საჭმელს”.

მამა იოსები მეორე დღეს ეზიარა ქრისტეს წმინდა საიდუმლოს და საღი გონებით, თუმცა ერთგვარი შფოთით ელოდებოდა აღსასრულს.

მან იცის, რომ ყველაფერი აღსრულდა, მხოლოდ უკანასკნელი დამოძღვრა დარჩა სულიერ შვილთა. იძახებს რიგრიგობით. მოვიდა მამა ხარლამპეს რიგიც. მოძღვარი განსაკუთრებულად უხმობს და ეუბნება:

– მამა ხარლამპე, შენ ჩემი გესმის?

– დიახ, მესმის, მამაო.

– თავი ანებე ფაციფუცს.

მამა ხარლამპემ გამოსვლა ვერ მოასწრო ოთახიდან, რომ მოძღვარმა კვლავ იხმო და გააფრთხილა, – თავი ანებე ფაციფუცსო.

კიდევ მუხლი მოუყარა, წავიდა. მესამედაც იგივე განმეორდა:

– გაიგონე, რაც გითხარი? თავი ანებე ფაციფუცს.

ეს სიტყვები, როგორც ანდერძი, მამა ხარლამპემ მთელი სიცოცხლე დაიმახსოვრა.

მამა იოსებმა ბოლო დამოძღვრის მერე სული უფალს ჩააბარა და თავისი სულიერი შვილები უდიდესი მწუხარებით დატოვა. აი როგორ მოგვითხრობს მამა იოსების გარდაცვალებას არქიმანდრიტი ეფრემი ფილოთეველი, გთავაზობთ ამონარიდს მისი წიგნიდან: “მონაზვნური გამოცდილების გადმოცემა” (ხახულის ღვთისმშობლის ახალი შუამთის დედათა მონასტერი, 2004 წ):

“ფიზიკური უძლურებისა და ტკივილების მიუხედავად, ის ისეთ სულიერ მადლსა და ნეტარებას გრძნობდა, რომ სიტყვით გადმოცემა უჭირდა და ამბობდა, რომ თითქოს

შინაგანი სამოთხის განცდა ჰქონდა.

მაგრამ მოვიდა მისი გარდაცვალების დრო. ის მთელი ცხოვრება სიკვდილის მოლოდინში იყო. აქ მისი ცხოვრება შრომა, ბრძოლა და ტკივილი იყო. მის სულს ისევე, როგორც სხეულს, განსვენება სურდა. და თუმცა მან სიკვდილის ხსოვნა ღრმად ჩაგვინერგა, ჩვენზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, თუ როგორ ჰქონდა გათავისებული სიკვდილის საშინელი საიდუმლო. თითქოს დღესასწაულისთვის ემზადებოდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ საკუთარი სინდისი უფლის დიდ წყალობას აუწყებდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, უკანასკნელი დღეების განმავლობაში ჩვეულებრივზე მეტს ტიროდა. მამა არსენმა სანუგეშებლად უთხრა:

– მამაო, მთელი ცხოვრება ამდენი იღვაწეთ და ილოცეთ, ამდენი იტირეთ და ისევ ტირით?

მამა იოსებმა შეხედა მას და ამოიოხრა:

– ეჰ, მართალია, მამა არსენ, მაგრამ მე ხომ ადამიანი ვარ. რა ვიცი, ღვთისთვის სათნო იყო თუ არა ჩემი შრომა. ის ღმერთია და ისე არ განსჯის, როგორც ჩვენ, ადამიანები. აღარც მე მოვბრუნდები უკან, რომ ისევ ვიტირო. ახლა რასაც მოვასწრებთ, ის იქნება. როგორც იგლოვებ და იტირებ, ისეთ ნუგეშს მიიღებ.

მის სიყვარულს ღვთისმშობლის მიმართ სიტყვებით ვერ გადმოვცემ. მისი ხსენებისთანავე თვალები ცრემლით ევსებოდა. დიდი ხანია, ღვთისმშობელს ევედრებოდა, წაეყვანა ამ ცხოვრებიდან, რომ დაესვენა. ყოველთა დედოფალმა შეისმინა მისი თხოვნა. მან მამა იოსებს გარდაცვალების შესახებ ერთი თვით ადრე აცნობა. მამა იოსებმა დამიძახა და მითხრა, რა უნდა მომემზადებინა. ჩვენ მოლოდინში ვიყავით.

ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის წინა საღამოს, 1959 წლის 14 აგვისტოს, მის სანახავად ბატონმა სხინასმა შემოიარა ვოლოდან. ისინი დიდი მეგობრები იყვნენ.

– როგორ ბრძანდებით, მამაო, – ჰკითხა სხინასმა, – თავს როგორ გრძნობთ?

– ხვალ, სოტირი, ჩემს სამუდამო სამშობლოში მივდივარ. როცა ზარების რეკვას გაიგებ, მაშინ გაიხსენებ ჩემს სიტყვებს.

იმ ღამეს, ღვთისმშობლის მიძინების ღამისთევის ლოცვაზე მამა იოსები სხვა მამებთან ერთად გალობდა, რამდენიც შეეძლო. ლიტურგიის დროს, წმინდა ზიარების წინ მან წარმოთქვა: “საგზლად საუკუნო ცხოვრებისა”.

15 აგვისტო თენდებოდა. მამა იოსები კელიის ეზოში, თავის მოწამეობრივ სავარძელზე იჯდა და გარდაცვალების საათსა და წამს მოელოდა. მას სჯეროდა ღვთისმშობლის დანაპირების. მაგრამ დრო გადიოდა და როცა ჰორიზონტზე მეც გამოჩნდა, მამა

იოსები თითქოს აფორიაქდა, მისი დრო იგვიანებდა. ეს ბოროტის უკანასკნელი შემოტევა იყო. მამა იოსებმა დამიძახა და მკითხა:

– შვილო, რატომ აყოვნებს უფალი ჩემს წაყვანას? მზე ამოდის და მე ისევ აქ ვარ!

რომ ვუყურებდი, როგორც წუხდა ჩემი მოძღვარი და თითქმის ვეღარ ითმენდა, თქვა გავბედე:

– ნუ წუხხართ, მამაო, ჩვენ ახლა თქვენთვის ვილოცებთ და თქვენ წახვალთ.

ის აღარ ტიროდა. მამებმა სკვნილზე ლოცვა დაიწყეს. თხუთმეტ წუთზე მეტი არ გასულა, რომ მამა იოსებმა თქვა:

– დაუძახეთ მამებს, მოვიდნენ და უკანასკნელი კურთხევა აიღონ, რადგან მივდივარ.

ჩვენ უკანასკნელად თაყვანი ვეცით მას. ცოტა ხნის შემდეგ ის დაახლოებით ორი წუთი, ცაში რაღაცას მიაჩერდა, მერე ჩვენ შემოგვხედა და საოცარი სიფხიზლითა და სულიერი აღტაცებით აღვსილმა გვითხრა:

– ყველაფერი დამთავრდა, მივდივარ, გშორდებით, მაკურთხეთ!

ამ უკანასკნელი სიტყვებით თავი ასწია, მერე მარჯვნივ მიაბრუნა, ორ-სამჯერ ოდნავ გააღო პირი და თვალები და დამთავრდა. მან შეჰვედრა სული მას, ვინც ასე ენატრებოდა და ვისთვისცა იღვწოდა ახალგაზრდობიდან.

მისი გარდაცვალება ჭეშმარიტად ღირსეული იყო. ჩვენ მისმა სიკვდილმა აღდგომის განცდა მოგვიტანა. ჩვენს წინ მიცვალებული იწვა და გლოვა გვმართებდა, მაგრამ შინაგანად აღდგომას განვიცდიდით. მას შემდეგ ეს გრძნობა აღარ მტოვებს. ეს ის გრძნობაა, რომელიც ყოველთვის თან ახლავს ჩემი დაუვიწყარი წმინდა მოძღვრის ხსოვნას:.
karibche.ambebi.ge